ხელშეკრულება №124
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ამბროლაური 01 აგვისტო 2018 წელი.

შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ერთის მხრივ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მერის ზვიადი მხეიძის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „ივანე კვაღინიძე“ (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის საგანი

1.1 შესყიდვის საგანია: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საკრებულოს სხდომათა დარბაზისათვის 36 ადგილიანი საკონფერენციო მაგიდის შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: CPV39153000 - საკონფერენციო დარბაზის ავეჯი, კერძოდ საკონფერენციო მაგიდის შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 1300,00(ერთი ათას სამასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, საქართველოს კანონდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები.

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი პირები.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 დღის განმავლობაში. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,15% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7 . მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი და წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს საქონლის შეცვლა ან/და ზიანის ანაზღაურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

- საქონლის გადაცემის პარალელურად მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი დოკუმენტაცია.

8 .მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 მოწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,15% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისას.
10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა ხელმომწერ მხარეებს.
14.2 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ქ.ამბროლაური. ბრატისლავა რაჭის ქ.11
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ს/კ №222938490

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი: ზვიადი მხეიძე

მიმწოდებელი:
ინდ. მეწარმე „ივანე კვაღინიძე“
ქ. გორი, სუხიშვილის ქუჩა N63
ს/ს „თიბისი ბანკი“
კოდი TBCBGE22
ა/ა GE31TB7740445061600006
ს/კ 59002003933

ინდ. მეწარმე: ივანე კვაღინიძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ამბროლაური 01 აგვისტო 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს სხდომათა დარბაზისათვის 36 ადგილიანი საკონფერენციო მაგიდის შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინდ. მეწარმე „ივანე კვაღინიძე“-ს მიმართ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ---------- /ზვიადი მხეიძე/

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე ---------- /ასლან საგანელიძე/

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების

სამსახურის უფროსი ---------- /ბელა აბაიშვილი/

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების
სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის დაგეგმვის,
აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელი ----------/ფატიმა კერესელიძე/

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეული შესყიდვების სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეული დაგეგმვის,
აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ----------/ია სუთიძე/

სატენდერო კომისიის დამხმარე ----------/შორენა ფრუიძე/